მე-2 კლასი
მათემატიკის ოლიმპიადის II ტურის ტესტების მიმოხილვა

ტესტი შედგება 12 დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. სავარჯიშოები განსხვავდება სირთულისა და ქულების მიხედვით – ქულები მერყეობს 2-დან 7-მდე. მოსწავლემ უნდა დააფუძნოს თავისი არჩევანი ლოგიკურ და ანალიტიკურ აზროვნებაზე, მარტივ არითმეტიკულ მოქმედებებზე, პირობების გაანალიზებაზე, რიცხვთა მიმდევრობაზე და ზოგ შემთხვევაში — ვიზუალურ აღქმასა და ლოგიკურ ამოხსნებზე.

არითმეტიკა და რიცხვებზე მოქმედება

მოსწავლემ უნდა შეძლოს მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება (შეკრება, გამოკლება, მოქმედებათა სწორი თანმიმდევრობით). ასევე, საჭიროა ტექსტური ამოცანის გაანალიზება და სწორი გამოსავლის პოვნა.

მაგალითი:

ანას ჰქონდა 20 ლარი. მან იყიდა კალამი 7 ლარად და რვეული 8 ლარად. რამდენი ლარი დარჩა ანას?

A) 4 B) 5 C) 6 D) 7

ლოგიკური აზროვნება და შედარება

ამოცანების ნაწილი დაკავშირებულია ტექსტის გაანალიზებასთან, მონაცემების შედარებასთან, საათისა და დღეების ცნობასთან, ასევე პირობითი სიტუაციების გააზრებასთან. ასეთი ამოცანები ავითარებს მოსწავლის კრიტიკულ აზროვნებას.

მაგალითი:

ელენეს 2 და ჰყავს და ამდენივე ძმა. სულ რამდენი და-ძმაა მათ ოჯახში?

A) 3 B) 4 C) 5 D) 6

რიცხვების მიმდევრობა და კანონზომიერება

მოსწავლემ უნდა ამოიცნოს რიცხვთა მიმდევრობაში არსებული კანონზომიერება და განსაზღვროს მომდევნო წევრი. ასეთი ტიპის დავალებები ავითარებს ლოგიკურ აზროვნებასა და კანონზომიერებების ამოცნობის უნარს.

მაგალითი:

დააკვირდი მიმდევრობას და გამოიცანი შემდეგი რიცხვი:

2, 5, 9, 14, ...

A) 20 B) 19 C) 18 D) 17